

დღეისათვის საქართველოში ჯერ კიდევ მა-
ლალია ეკონომიკური სისტემის ცენტრალიზა-
ციის დონე. სახელმწიფო ბიუჯეტში მთლიანა-
და ინტეგრირებული სოციალური სისტემა,
ცენტრალიზებულია ადგილობრივი თვითმმარ-
თველობის და ავტონომიური რესპუბლიკების
ბიუჯეტების ფორმირების პროცესი, შეზღუ-
დულია ადგილობრივი ორგანოების საგადასა-
ხადო უფლებამოსილებები, რითაც სუსტდება
ადგილებიდან ფინანსური ინიციატივები და
რესურსების ეკონომიკური ხარჯვის მოტივაცი-
ები. ტერიტორიული ერთეულების ფინანსური
უზრუნველყოფა უნდა გამომდინარებდეს მა-
თი განვითარების სტრატეგიული გეგმის ძი-
რითადი პრიორიტეტებიდან, იგი უნდა დი-
ფერენცირდებოდეს რესურსული უზრუნველ-
ყოფის დონისა და ეკონომიკური ზრდის შესა-
ძლებლობებიდან გამომდინარე. განვითარების
სტრატეგია უნდა ასახავდეს ადგილობრივ პი-
რობებსა და განვითარების ფაქტორებს, მან
უნდა უზრუნველყოს იმ რესურსების ხელმი-
საწყდომობა, რომელიც ხელს უწყობს ადგი-
ლობრივი ხელისუფლების ეფექტურობის მაქ-
სიმაღლურ ზრდას.

მეცნიერული კვლევების აქტუალურ მიმარ-
თულებად საქართველოში მმართველობის დე-
ცენტრალიზაციის თემატიკა განიხილება, რაც
უშუალოდ უკავშირდება ქვეყნის ადმინისტრა-
ციულ-ტერიტორიული მოწყობის, უფლებამო-
სილებათა გამიჯვნის, დარგობრივიდან რეგიო-
ნულ მართვაზე გადასვლის და მისი პროგ-
რამული უზრუნველყოფის საკითხებს. შეარ-
თაშორისო დონეზე დეცენტრალიზაციის უნი-
ვერსალური მოდელის შექმნა ამ ეტაპზე შე-
უძლებელია, ვინაიდან იგი ურთიერთდამოკი-
დებულების სისტემას ასახავს მთლიანად სა-
ხელმწიფოსა და ადმინისტრაციულ-ტერიტო-
რიულ ორგანოებს შორის, თითოეულ ქვეყანას
კი თვითმმართველობის ჩამოყალიბების საკუ-
თარი ისტორია და სპეციფიკა გააჩნია, მადე-
ნად, დეცენტრალიზაციის თეორიული საფუ-
ძვლების შესწავლა საერთაშორისო სტანდარ-
ტებთან ერთად, ინდივიდუალური მიდგომების
შემუშავებას და განზოგადებას მოითხოვ. რამ-
დენადაც დეცენტრალიზაცია, როგორც მმარ-
თველობის დემოკრატიული მოდელის მთავარი
მდგრენელი, რეგიონალისტიკის საფუძვლად გა-
ნიხილება, ამდენად, მისი პრობლემატიკის შე-

სწავლა უაღრესად მნიშვნელოვანია ჩვენს რეა-
ლობაშიც.

რეგიონული პოლიტიკა სახელმწიფოს სახე-
ლისუფლებო ორგანიზებასთან არის დაკავში-
რებული, მან ქვეყნის სივრცობრივი სტრუქტუ-
რირება და სახელმწიფო ხელისუფლების ფუნქ-
ციების ოპტიმალური ტერიტორიული განაწი-
ლება იმგვარად უნდა უზრუნველყოს, რომ
დაცული იყოს სახელმწიფოს შიდა სტრუქტუ-
რის ერთიანობა¹. ქვეყნის ტერიტორიული მოწ-
ყობის იერარქიული პრინციპები და უფლება-
მოსილებათა რეალიზების ფინანსური ბერკე-
ტები კვლავ მეცნიერული შესწავლის პრიორი-
ტეტული მიმართულება და თეორიული დის-
კუსირების საგანია.

საკანონმდებლო დონეზე რეგიონული ურ-
თიერთობების მარეგულირებელი ნორმატივე-
ბის შექმნა სახელმწიფო ხელისუფლების პრე-
როგატივა, ეს არის სამართლებრივი ნორმების
და ინსტიტუციური გადაწყვეტილებების ერ-
თობლიობა, რომლითაც ყალიბდება სახელმ-
წიფოს სოციალურ-ეკონომიკური როლი მთლი-
ანად ქვეყნისა და მისი ტერიტორიული ერთე-
ულების განვითარების საქმეში. სისტემური
ტრანსფორმაციის პროცესში მნიშვნელოვან
ფუნქციებს სახელმწიფო რეგულატორები ას-
რულებს, მათ შორის აქტუალურია საბიუჯეტო
ურთიერთობათა განსაზღვრის საკითხი. ცენტ-
რალური ხელისუფლების ფინანსური მხარ-
დაჭრა, მისი მიზნობრივი პრიორიტეტები და
ადგილობრივი რესურსების მაქსიმალურად გა-
მოყენების სტრატეგია მუნიციპალური შემო-
სავლების ფორმირების ძირითად პრინციპებად
განიხილება, ქვეყნის რეგიონული განვითარე-
ბის ეს მიდგომები მოცემულია „საქართველოს
სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრა-
ტეგიის პროექტში - „საქართველო 2020“, კერ-
ძოდ მითითებულია, რომ ქვეყნის მდგრადი
განვითარების გადამწყვეტ ფაქტორებს დეკო-
ცენტრირებული მმართველობითი სისტემა და
ინოვაციური მიდგომების დანერგვა წარმოად-
გენს.²

რეგიონებში ეკონომიკური პროცესების
სტიმულირების მიზნით აუცილებელია რაციო-
ნალური სივრცითი დაგეგმვა, რეგიონის ეკო-
ნომიკური აქტივების, მისი შედარებითი უპი-
რატესობების კომპლექსური შესწავლა და გა-
მოყენება. „საქართველომ უნდა იხელმძღვანე-

¹ „დეცენტრალიზაცია საქართველოში. არსებული მდგრამა-
რეობა და პერსპექტივები“. ანგარიში. თბ. 2009. გვ. 19-20

² საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების
პროექტი - „საქართველო 2020“, თბ. 2015

ლოს ევროპის იმ მიდგომებით, რომელიც გულისხმობს რეგიონალიზაციის პროცესში ქვეყნის ტერიტორიის ერთიანობის განმტკიცებას პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ერთიანობისა და მდგრადი განვითარების კონტექსტში.³ ევროპული რეგიონალიზმის საკითხების სამართლებრივ და ინსტიტუციურ უზრუნველყოფას ევროსაბჭოსთან არსებული ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესი ახდენს, იგი აყალიბებს თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის მოთხოვნებსა და კონცეპტუალურ მიღებებს, რომლის ამოსავალი პრინციპები ამ მიდგომების ცალკეულ ქვეყანაში ადაპტირების პროცესში ადგილობრივი სპეციფიკის მაქსიმალური გათვალისწინება და ურთიერთობათა სამართლებრივი საფუძვლების ჰარმონიზებაა.

ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური ზრდა მრავალი კომპონენტის შეთანაწყობას მოითხოვს, მათ შორის არსებითია მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა, პრიორიტეტული დარგების უპირატესი მხარდაჭერა, სტრუქტურული და ინსტიტუციური გარემოს გაუმჯობესება, ადამიანური კაპიტალის განვითარება და სხვა, სახელმწიფოს ოპტიმალური რეგიონული პოლიტიკის მნიშვნელოვან ფაქტორად კი ფინანსური დეცენტრალიზაციის რაციონალური მიღების შემუშავება განიხილება, რომლის ამოსავალი პრინციპი ადგილობრივი რესურსების მაქსიმალური გამოყენება და სტაბილური სამენარმეოგარემოს უზრუნველყოფის მიზნით სახელმწიფოს მხრიდან რაციონალური ფინანსური მხარდაჭერაა.

ფინანსური პოლიტიკა ეკონომიკის დინამიურ და პროპორციულ განვითარებას, მაკროეკონომიკური წინასწორობის დაცვას და რეგიონებში სოციალურ-ეკონომიკური დონის გამოთანაბრებას უნდა უზრუნველყოფდეს, სახელმწიფოს ფისკალური პოლიტიკის მნიშვნელოვანი ინდიკატორი, სწორედ, ტერიტორიული განვითარების ოპტიმიზაცია და განვითარების რეგიონული დონეების გამოთანაბრებაა. იგი განსაზღვრავს სახელმწიფოსა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მართვის სხვადასხვა დონეებს შორის ურთიერთდამოკიდებულების სისტემას და ფინანსური ელემენტების გადანაწილების მექანიზმებს ამ დონეებს შორის.

დეცენტრალიზაცია ტერიტორიული ერთეულების პოლიტიკურ, ადმინისტრაციულ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ სუბიექტებს უზრუნველყოფს იმ სამართლებრივი და ინსტიტუციური ფაქტორებით, რომელიც აუცილებელი ნინაპირობაა მათი ეკონომიკური ზრდისათვის. ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპის ქარტიის მე-9 მუხლის მიხედვით, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები უნდა ფლობდნენ საკუთარ ფინანსურ რესურსებს და თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში თავისუფლად განკარგავდნენ მათ. ამ რესურსების ნაწილი უნდა ყალიბდებოდეს ადგილობრივი გადასახადებიდან, რომელთა განაკვეთების დადგენა ადგილობრივი ხელისუფლების პრეროგატივაა. ევროპული ქარტია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სუსტად განვითარებული რეგიონების ფინანსურ მხარდაჭერას ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან სუბსიდირების გზით, „ადგილობრივი ორგანოების სუბსიდირება ხელისუფლებამ შეძლებისდაგვარად უნდა შეზღუდოს მიზნობრივი დანიშნულებით გარკვეული პროექტების დაფინანსებით, ამასთან, სუბსიდირებამ არ უნდა დათრგუნოს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ფუძემდებლური უფლება, თავისი კომპეტენციის ფარგლებში გაატაროს დამოუკიდებელი პოლიტიკა“⁴.

დღეისათვის საქართველოში ჯერ კიდევ მაღალია ეკონომიკური სისტემის ცენტრალიზაციის დონე. სახელმწიფო ბიუჯეტში მთლიანადაა ინტეგრირებული სოციალური სისტემა, მათ შორის, პენსიები და საჯარო სკოლის ხარჯები, ცენტრალიზებულია ადგილობრივი თვითმმართველობის და ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტების ფორმირების პროცესი, შეზღუდულია ადგილობრივი ორგანოების საგადასახადო უფლებამოსილებები, დღეისათვის ისინი ვერც გადასახადებისა და მოსაკრებლების სახესა და სიდიდეს ადგენენ და ვერც გადასახდების ადმინისტრირებას ანხორციელებენ. საგადასახადო ურთიერთობათა ამგვარი ცენტრალიზაცია ზღუდავს ადგილობრივი ერთეულების დამოუკიდებლობას, რითაც სუსტება ადგილებიდან ფინანსური ინიციატივები და რესურსების ეკონომიკური ხარჯების მოტივაციები.

რეგიონული განვითარების დაფინანსების სტარტეგიის უმთავრესი მიზანია მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება, სოციალური სტაბილურობის უზრუნველყოფა, ადგილობრივი

³ ევროკავშირის ტერიტორიული დღის წესრიგი უფრო მეტი კონკურენტუნარიანი და მდგრადი ევროპის მრავალფეროვანი რეგიონებისათვის. პრტ/გოვ-გე/უვ3უ4ნ

⁴ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტია“, სტრასბურგი, 1985

რესურსების ეფექტიანი გამოყენება და რეგიონის ფინანსური დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება სახელმწიფო დახმარების ეტაპობრივი შემცირებისა და საკუთარი საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის მეშვეობით. თვითმმართველი ერთეულებისათვის ექსკლუზიური უფლებამოსილებების და მინიმალური ბიუჯეტის განსაზღვრის საფუძველზე სახელმწიფო ადგენს სოციალური სტანდარტების მინიმალურ დონეს, რის საფუძველზეც შესაძლებელია გამოთანაბრებითი ტრანსფერის ოპტიმალური სიდიდის და მისი ეფექტიანობის განსაზღვრა.

ფისკალური პოლიტიკა ეკონომიკურ სტაბილიზაციასთან ერთად რეგიონებს შორის კონკურენტული ურთიერთობების მექანიზმიც არის. ამ ფაქტორმა საგადასახადო ურთიერთობების დარეგულერების აუცილებლობა წარმოშვა. საგადასახადო სისტემის სრულყოფა პოზიტიურ გავლენას ახდენს ეროვნულ ეკონომიკაზე, რამდენადაც აუმჯობესებს საინვესტიციო გარემოს, ამაღლებს საგადასახადო ადმინისტრირების ეფექტიანობას და რეინვესტირების გზით აუმჯობესებს ადგილობრივი წარმოების კონკურენტულნარიანობას. შაგადასახადო სისტემის ოპტიმიზაცია სახელმწიფოს მძლავრი ფინანსური ბერკეტია და ძირითადად ფისკალური ეფექტის მიღებაზეა ორიენტირებული, ამასთან, მისი მეშვეობით შესაძლებელია პროგრესული სტრუქტურული ცვლილებების გამოწვევა და ეკონომიკის ოპტიმალური რეგულირებაც. საგადასახადო სისტემის ოპტიმიზაცია უპირველესად დაბეგვრის რეზიმის განსაზღვრას გულისხმობს, რაც, თავის მხრივ, აუცილებლად მოითხოვს დიფერენცირებას ეკონომიკური განვითარების საერთო ტენდეციების და მაკროეკონომიკური პროპორციების გათვალისწინებით, რადგანაც ჯერ კიდევ მაღალია ადგილობრივი ბიუჯეტის სახელმწიფო ფინანსებზე დამოკიდებულება მოგებისა და საშემოსავლო გადასახადების შემოსავლობების მთლიანად ცენტრალურ ბიუჯეტში მიმართვის გამო, უმნიშვნელოა ერთადერთი ადგილობრივი გადასახადის, — ქონების გადასახადის ფისკალური ეფექტი, არათანაბარია ერთ სულ მოსახლეზე საბიუჯეტო შემოსავლობები და ხარჯებიც რეგიონების მიხედვით. რეგიონებს შორის უთანაბრობის ზრდას ასევე უწყობს ხელს ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის მინიმალური სოციალური სტანდარტების არარებობა.

გადასახადები სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესზე ზემოქმედების აქტიური ინსტრუმენტია.

იგი ეკონომიკის რეგულირებას და მის წონას-წორულ განვითარებას უზრუნველყოფს, გადასახადები გავლენას ახდენს სოციალურ მდგომარეობაზე და ეკონომიკური კავშირების გაფართოებაზეც. ქვეყანაში საგადასახადო სისტემის თავისებურებებს სახელმწიფო მოწყობა და ხელისუფლებების თითოეული დონის ადმინისტრაციული შესაძლებლობები, ეკონომიკაში სახელმწიფო ორგანოების ჩარევის ხარისხი და ეკონომიკური პოლიტიკის ხასიათი განაპირობებს, შესაბამისად, საგადასახადო სისტემა უნდა იყოს მოქნილი და დიფერენცირდებოდეს დარგობრივ-ტერიტორიულ ჭრილში. დღეისათვის საბიუჯეტო დამოუკიდებლობის დაბალ დონეზე მიუთითებს ის, რომ გადასახადებისა და მოსაკრებლების ზომის გარდა, ცენტრალური ხელისუფლება საგადასახადო ბაზასაც განსაზღვრავს.

რეგიონის ბიუჯეტი აერთიანებს მოცემულ ტერიტორიაზე არსებულ თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს და ამ ერთეულებში რეგიონული განვითარების სახელმწიფო პროგრამებისათვის განსაზღვრულ პროგრამულ სახსრებს. რეგიონული განვითარების დაფინანსება ითვალისწინებს განვითარების უზრუნველყოფა ყველა ფინანსურ ნაკადს, კერძოდ სახელმწიფო და თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების, საერთაშორისო საფინანსო და დონორი ორგანიზაციების სახსრებს, კერძო სექტორის ფინანსებს, გრანტებს და კანონით განსაზღვრულ სხვა ფინანსურ წყაროებს. დაგილობრივი ბიუჯეტის შედგენა უნდა იწყებოდეს ხარჯვითი ნაწილის განსაზღვრით და მისგან გამომდინარე უნდა დადგინდეს საშემოსავლო დავალებები. ეს პროცესი მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ ცენტრალურმა ხელისუფლებამ ყველა დონისათვის ჯერ ხარჯვითი საჭიროება უნდა განსაზღვროს და მის მიხედვით ააგოს შემოსავლების გეგმა.

ადგილობრივი საგადასახადო-საბიუჯეტო გადაწყვეტილებების დამოუკიდებლობის ხარისხის შეფასებისათვის გამოიყენება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ შემუშავებული ფისკალური დეცენტრალიზაციის პოლიტიკა, საბიუჯეტო ავტონომიის შეფასებისათვის იგი განიხილავს კრიტერიუმებს სამი ჯგუფის მიხედ-

ვით: საბიუჯეტო შემოსავლები, საბიუჯეტო ხარჯები და სავალო პოლიტიკა.⁵

„ადგილობრივი თვითმმართვულობის შესახებ“ ევროპული ქარტია მიიჩნებს, რომ ადგილობრივი ორგანოების ფინანსური წყაროები შესაბამისობაში უნდა იყოს მათ უფლებამოსილებებთან. სასურველია, რომ ადგილობრივი ბიუჯეტის დიდი ნაწილი საკუთარი წყაროებით იქმნებოდეს, კერძოდ, ადგილობრივი გადასახადებით, ადგილობრივი მოსაკრებლებით და ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებიდან შემოსავლებით. თითოეული მათგანი დაკავშირებულია ეკონომიკურ აქტიურობასთან. ღეგიონებში, სადაც ბიუჯეტის ძირითადი წყარო საკუთარი შემოსავლებია, ადგილობრივ ხელისუფლებას მეტი მოტივაცია გააჩნია ეკონომიკური ზრდის მხარდაჭერისათვის. ეს ამაღლებს რა მუნიციპალური ორგანოების პასუხისმგებლობას მოსახლეობის წინაშე, ასევე ზრდის საზოგადობრივ ინტერესს მათი საქმიანობისადმი.

რეგიონული საბიუჯეტო პოლიტიკის გატარების საფუძვლად უნდა იქცეს მიზნობრივ-პროგრამულ დაფინანსებაზე გადასვლა, რამაც უნდა ასახოს რეალური ურთიერთკავშირი ეკონომიკაში არსებულ მდგომარეობასა და საბიუჯეტო სისტემას შორის, სატრანსფერო პოლიტიკა კი უნდა ითვალისწინებდეს და ემყარებოდეს სახელმწიფოს ძირითად პრიორიტებს, რაც მოითხოვს რეგიონებისათვის აუცილებელი პროგრამების სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების პრაქტიკას. ამდენად, საქართველოში უნდა გატარდეს ისეთი სატრანსფერო პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას და ამ გზით გაზრდის მათი დამოუკიდებლობის ხარისხს. განსაკუთრებულ სიზუსტეს მოითხოვს ტრანსფერების განსაზღვრის პრაქტიკა, რაც უნდა გამომდინარეობდეს ადგილობრივ ბიუჯეტებში შემოსავლების რეალური აღრიცხვიდან. ცენტრალური ხელისუფლება თვითმმართველ ერთეულებს უნდა დაეხმაროს ეკონომიკურ აქტივობაში, რაც საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის ხარჯზე შეამცირებს მოთხოვნას სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ ტრანსფერებზე.

ადგილობრივი შემოსავლების მნიშვნელოვან წყაროდ უნდა იქცეს მუნიციპალური სანარმოების ოპტიმიზაცია. განსაკუთრებულ ინტე-

რესს იწვევს ამ სანარმოთა კორპორატიულ მართვაზე გადასვლა, რაც უნიტარული სანარმოების მართვის ადმინისტრაციულ-ეკონომიკური პრინციპების და კერძო სანარმოების მართვის საბაზრო-კონკურენტული მექანიზმების სინთეზს გულისხმობს. ამას უკავშირდება საქმიანობის ორგანიზების კლასტერული მიდგომის იდეა. კლასტერული ფირმების შემთხვევაში მუნიციპალიტეტები ანხორციელებენ მათში ინვესტირებას, რითაც ახდენენ ამ ფირმების ანტიკრიზისული სტაბილურობის უზრუნველყოფას და, ზოგადად, ეკონომიკური ზრდის პროცესებს მუნიციპალურ მეურნეობაში.

რეგიონული განვითარების დაფინანსებაში ნამყალ როლს დღეისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან განვითარები ფინანსური დახმარებები ასრულებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროგრამული ფინანსური დახმარებები. პირდაპირი სახელმწიფო ინვესტიციები გაიცემა სამინისტროებიდან, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, უცხოური კრედიტებიდან და გრანტებიდან, მუნიციპალური განვითარების ფონდიდან, „იაფი სესხის“ პროექტიდან, კომერციული საბანკო სესხებიდან. ღეგიონებზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან პირდაპირი ინვესტიციები გამოიყოფა ძირითადად ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის. თუმცა ეს სისტემა დასახვენია, რადგანაც ასიგნებები სახელმწიფო ბიუჯეტში არ არის განერილი ცალკეული რეგიონისა და ღონისძიებების ჭრილში, რის გამოც რეგიონული ხელისუფლებისთვის წინასწარ უცნობია სახელმწიფო ბიუჯეტიდან მათვის ამ მიზნით გამოყოფილი თანხის მოცულობა. ფინანსურ პრობლემას ქმნის ისიც, რომ არ არის დადგენილი თვითმმართველი ერთეულების მიერ ფასიანი ქაღალდების გამოშვების და ფინანსურ ბაზარზე გასვლის წესები. კონკრეტულად ეს შეხება მუნიციპალიტეტების მიერ მოკლევადიანი ვალდებულებების გამოშვებას და ბაზარზე განთავსებას.

რეგიონული ფისკალური სისტემა ჯერ კიდევ მოითხოვს დახვენას, კერძოდ, საჭიროა სახელმწიფო ხელისუფლებასა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფუნქციონალური უფლებამოსილებების გამიჯვნას საფუძვლად პოლიტიკურთან ერთად ეკონომიკური კრიტერიუმები დაერთოს. საჭიროა შემუშავდეს რეგიონული განვითარების ფინანსური მხარდაჭერის სახელმწიფო პოლიტიკა, რო-

⁵ Organisation for Economic Cooperation and Development. Fiscal Design across Levels of Government Framework and Survey Findings. – OECD Tax Policy Series, 2001, N6

მელიც გაითვალისწინებს მასტიმულირებელი და მაკონკენსირებელი პოლიტიკის გატარებას. საჭიროა დადგინდეს საერთო სახელმწიფო გადასახადებებიდან შემოსავლების რეგიონთაშორის გადანაწილების სამართლებრივი ნორმები, უნდა მოხდეს ადგილობრივ დონეზე იმ მაღალ-შემოსავლიანი გადასახადების მიმავრება, რომლებიც რეალურ პოზიტიურ გავლენას ახდენს და უზრუნველყოფს ტერიტორიაზე საგადასახადო პოტენციალის ზრდას. ამ მიზნით საჭიროა საგადასახადო შემოსავლების ცენტრალურ და ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის გადანაწილების გრძელვადიანი ნორმატივების დადგენა, ამ პროცესების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება და საზოგადოების მხრიდან მუდმივი მონიტორინგის დაწესება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპულ ქარტია , სტრასბურგი, 1985.
2. დეცენტრალიზაცია საქართველოში. რსებული მდგომარეობა და პერსპექტივები. ნგარიში. თბილისი, 2009
3. "საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროექტი — საქართველო 2020", თბ., 2015
4. ევროკავშირის ტერიტორიული დღის წერიგი უფრო მეტი კონკურენტუნარიანი და მდგრადი ევროპის მრავალფეროვანი რეგიონებისათვის. <http://gov.ge/uv3u4w>
5. Organisation for Economic Cooperation and Development. Fiscal Design across Levels of Government Framework and Survey Findings. - OECD Tax Policy Series, 2001, N6

VoWiFi ტექნოლოგიის დანერგვა საქართველოში და მისი განვითარების პერსპექტივები თანამედროვე პიზეს საქმიანობაში

**მარინა ქურდაძე — სტუ-ს პროფესორი
გიორგი მურჯიკნელი — სტუ-ს დოქტორანტი**

რეზიუმე

VoIP (Voice over Internet Protocol) და WiFi ტექნოლოგიების სინთეზის შედეგად მიღებული VoWiFi ტექნოლოგიის ღირსებულ ტექნოლოგიებთან შედარებით, მისი საწარმოო პრაქტიკაში დანერგვის რაციონალურობის შესაძლებლობა, სხვასასხვა სახის პრობლემები, მათი დაძლევის გზები და განვითარების პერსპექტივები. როგორ ხდება VoWiFi-ის მეშვეობით ერთიანი ინფოსაკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის აგება მცირე თუ საშუალო საწარმოებისათვის. მიდგომები და ტენდეციები რაც გამოიხატება ე.წ. (Next-generation network) ქსელების აგებაში, სადაც სხვადასხვა სახის ინფორმაციის გადაცემა ხორციელდება ერთიანი ინფრასტრუქტურის გამოყენებით და ერთიანი მიღებული სტანდარტებით. მორგებული იყოს სხვადასხვა სახის ინფორმაციის გატარებაზე, ადვილად ინტეგრირებადი იყოს ნებისმიერი სახის სერვისი (service oriented

ted networks) შესაბამისი მომსახურების ხარისხით.

The implementation of VoWifi technologies in Georgia and perspectives of their development in up-to-date business activity

**Marina Kuradze
Giorgi Murjikneli**

Summary

Worthines and advantages of VoWifi technologies that are obtained by synthesis of Voip (voice over Internet protocol) and WiFi technologies compared to to a existing technologies, the possibility of rational implementation of these technologies in work practice, the ways of how to overcome the different kind of problems and perspective of development. How the joint infocommunication infrastructure is constructed for small and medium factories on the basis of VoWiFi, the approaches and tendencies that are given by NGN(Next generation network) construction, where different information is strasmitted with the help of joint infrastructure and joint accepted standarts .It should be suitable for conductind of different types of information,easily integrated for arbitralily service oriented networks with the corresponding quality od service.